

როგორ მოქმედებს ელექტრონული მართვის სისტემები ქართული ბიზნეს
ორგანიზაციების სამუშაო პროცესზე

თამარ გოგოლაძე

წარმოდგენილია სამაგისტრო ნაშრომი, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის
ბიზნესის, ტექნოლოგიებისა და განათლების ფაკულტეტზე, მენეჯმენტის მაგისტრის
მოსაპოვებლად.

ბიზნესის, ტექნოლოგიისა და განათლების ფაკულტეტი

ნაშრომის ხელმძღვანელი: ალექსანდრე ასათიანი



ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტი

თბილისი, 2022

განაცხადი

როგორც წარდგენილი ნაშრომის ავტორი, ვაცხადებ, რომ ნაშრომი წარმოადგენს ჩემს ორიგინალურ ნამუშევარს და არ შეიცავს სხვა ავტორების მიერ აქამდე გამოქვეყნებულ, გამოსაქვეყნებელ ან დასაცავად წარდგენილ მასალებს, რომლებიც ნაშრომში არ არის მოხსენიებული ან ციტირებული სათანადო წესების შესაბამისად.

თამარ გოგოლაძე

15.02.2022

აბსტრაქტი

ნაშრომში განხილულია ელექტრონული მართვის არსი, ასევე დეტალურად არის აღწერილი ელექტრონული ტექნოლოგიები, თუ რამდენად მნიშვნელოვანია ყველაფერი ეს კომპანიების წარმატებით მუშაობისთვის და განვითარებისთვის. ნაშრომის ძირითად ნაწილში ასევე საუბარია ელექტრონულ დემოკრატიაზე თუ რა ფაქტორებით განსხვავდება ელექტრონული მმართველობისაგან.

ნაშრომის მთავარი ნაწილი ეთმობა ელექტრონული მართვის განვითარებას საქართველოში. როგორ დაინერგა და განვითარდა ელექტრონული ტექნოლოგიები, საქართველოში მოღვაწე კომპანიებში, ასევე წარმოდგენილია ელექტრონული მართვის დადებითი (ეფექტური, მოქნილი, სწრაფი, მარტივი და სხვა) და უარყოფითი (კიბერშეტევები, გაუმართაობა) მხარეები.

ჩატარდა თვისობრივი კვლევა, რომელიც შესრულდა Google Forms-ის საშუალებით, აღნიშნული კვლევის მიზანი იყო დაედგინა- როგორ არის განვითარებული ელექტრონული მართვა საქართველოში არსებულ კომპანიებში. კვლევის ანალიზიდან გამოიკვეთა, რომ კომპანიები აქტიურად ვითარდებიან ამ კუთხით და გაანალიზებული აქვთ თუ რამდენად მნიშვნელოვანია ელექტრონული მართვა მათი განვითარებისთვის.

ძირითადი საძიებო სიტყვები: ელექტრონული განვითარება, ელექტრონული ტექნოლოგიები, კიბერშეტევები.

Abstract

The paper discusses the essence of e-government, as well as in detail electronic technologies, how important it is for the development of companies. The paper also discusses e-Democracy with what factors from e-government.

The main part of the paper is devoted to the development of e-government in Georgia. How electronic technologies have been introduced and developed in companies operating in Georgia, as well as the effects of e-government (efficient, flexible, fast, easy, etc.) and the disadvantages (cyber attacks, malfunctions).

Monthly surveys conducted using Google Forms show how to define e-governance in banking companies in Georgia. The analysis of the study revealed how important governance is for their development.

Keywords: electronic development, electronic technologies, cyber attacks.